ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №206349

ნომერი: AR144444

თარიღი : 27.04.2012

გაცემის თარიღი : 08.06.2012

გაცნობის თარიღი : 11.06.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, მ.წინამძღვრიშვილის ქ.#186;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლ ქურიძე პ/ნ 01011061220
- თბილისი გ.ონაშვილის ქ. კორ. 9 ბ. 26

ნომენკლატურა :

- აშენებული
- შენობის ნაწილები - კარი, ფანჯარა, კიბე, სამერცხლული
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

გადაწყვეტილება

მოქალაქე გრიგოლ ქურიძეს 2012 წლის 27 აპრილის #AR144444 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 10 დღის ვადაში გარკვეული სახის დოკუმენტაციის (მათ შორის შესწორებული არქიტექტურული პროექტის – ყველა სალეგალიზაციო ღიობის ზომების დატანით, იმ ფართის კანონიერების დამდგენი დოკუმენტის (სადაც მოწყობილია უკანონოდ მოწყობილი სალეგალიზაციო ღიობები) და შპს „საქსპეცშახტმონტაჟი“–ს წარმომადგენლობაზე გროგოლ ქურიძის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის) 10 დღის ვადაში წარმოდგენა, სადაც იმავდროულად განემარტა, რომ განსაზღვრულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩებოდა განუხილველი.

განმცხადებლის მიერ არ იქნა სრულყოფილად წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, კერძოდ პროექტის ფასადზე არ არის მითითებული ყველა სალეგალიზაციო ღიობების ზომები, წარმოდგენილი იქნა დამატებითი ფოტომასალა, რომელიც არ შეესაბამება პირველი განცხადებით წარმოდგენილ ფოტომასალას (სხვა მდგომარეობაა ასახული), არ იქნა ასევე წარმოდგენილი იმ ფართის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაზეც მოთხოვნილია ღიობების ლეგალიზება (შესაბამისად არ ირკვევა რამდენად კანონიერია ის ფართი, სადაც მოწყობილია ღიობები ან/და რამდენად უკანონოა სალეგალიზაციო ობიექტი). აღსანიშნავია ასევე, რომ არ იქნა წარმოდგენილი გრიგოლ ქურიძის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ზემოაღნიშნული ობიექტის ლეგალიზებაზე, ვინაიდან წარმოდგენილი შპს „საქსპეცშახტმონტაჟი“–ს ამონაწერით ირკვევა, რომ შპს „საქსპეცშახტმონტაჟი“–ის დირექტორს წარმოადგენს შალვა ჯალაღონია (რომელიც თანაგანმცხადებელია), განმცხადებელი კი მოცემულ შემთხვევაში შპს „საქსპეცშახტმონტაჟი“–ის პარტნიორია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოქალაქე გრიგოლ ქურიძემ არ წარმოადგინა სამსახურის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულყოფილად, #AR144444 განცხადება დარჩა განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.